ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4023507

ნომერი: AR1592483

თარიღი : 21.05.2018

გაცემის თარიღი : 19.06.2018

გაცნობის თარიღი : 10.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფედრამ ქიან ფარსა პ/ნ 01191023826
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ზღვისუბნის დასახლება, XI მიკრო/რაიონი, III კვარტალი, კორპუსი 54ა, ბინა 46

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს RAPOL
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404993389
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ფედრამ ქიან ფარსა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01191023826

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: № 3619423
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 9.08.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
საპროექტო მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.72.14.007.047) 2013 წლის 10 იანვარს №490681 გადაწყვეტილებით დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად (კ1 – 0.5; კ2 – 0.8 ;კ3 – 0.25). 2013 წლის 18 თებერვალს გაიცა N223 განკარგულება, ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად და განისაზღვრა კ2=1.1. 2017 წლის 17 ივლისს მომართა მარიამ ეფრემიძემ და მოითხოვა ცვლილება 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებაში და საპროექტო ობიექტად დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი დაფიქსირება. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის ფუნქციურ ზონას წარმოადგენდა სზ-2, ხოლო ამ ზონაში დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ისეთ დასაშვებ სახეობებშია, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას, 2017 წლის 7 აგვისტოს N1-1781 ბრძანებით ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.72.14.007.047) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება. ვინაიდან, ამ უკანასკნელი ბრძანებით არ შესულა ცვლილება 2013 წლის 18 თებერვალის N223 განკარგულებაშიც, საჭიროა განახორციელოთ აღნიშნული ცვლილება, ან საკითხი დააყენოთ 2017 წლის 02 ნოემბრის №3619423 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის კორექტირებაზე, მხოლოდ 2013 წლის 10 იანვრის №490681 გადაწყვეტილებით დადგენილი კოეფიციენტების ათვისებით.
გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.